ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 13
28/06/2017

13-08-4-201706281734

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61- მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 93-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, 5^1, მე-6 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ,, ქვეპუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია,თანახმად დანართისა. (დანართი 1)

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა, თანახმად დანართისა. (დანართი 2)

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვს გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმა თანახმად დანართისა. (დანართი 3)

მუხლი 4.

დამტკიცდეს კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვს გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმა თანახმად დანართისა. (დანართი 4)

მუხლი 5.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს № 50 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 12/09/2011 სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.114.016072)

მუხლი 6.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა